პრეზენტაცია

თემა:გლობალიზაცია

თემის აქტუალობის დასაბუთება

დღევანდელ მსოფლიო მეცნიერულ წრეებში ეს პროცესი საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენს. მრავალი სხვადასხა სფეროს (ეს იქნება ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციოლოგია, ჯანდაცვა, კულტურა, ეკოლოგია თუ სხვა) კიდევ უფრო მეტი მეცნიერი მუშაობს ამ თემატიკაზე და ცდილობს ჩასწვდეს მის არსს და უპასუხოს შემდეგ კითხვებს: ”რას წარმოადგენენ არსებითად ეს პროცესები?”, ”როგორ წარმოიქმნენ ისინი?”, ”რა ძალები მართავენ მათ?”, ”როგორ ვითარდებიან ისინი?”, ”რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები მოაქვთ მათ?” და სხვა.

სულაც არ არის აუცილებელი მეცნიერებასთან დაახლოება და მასში ჩართულობა ამ საკითხებისადმი დაინტერესების წარმოქმნისაკენ, ვინაიდან დღეს უკვე ყოველ ნაბიჯზე და ყველა ფენისა თუ ასაკის წარმომადგენლებისგან გვესმის ტერმინი ”გლობალიზაცია”, სხვადასვა კონტექსტში და მნიშვნელობით. ასე მაგალითად: ”გლობალური დათბობა”, ”გლობალიზაციის შედეგია ჩვენი დაახლოება დასავლეთთან”, და ა.შ. გამომდინარე აქედან ჩნდება ინტერესი კითხვისადმი: ”თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში გლობალიზაცია?”. რა ვიცით ჩვენ მის შესახებ და შეესაბამება თუ არა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და შეხედულებები რეალობას? თუ ის ასეთი ყოვლისმომცველია, რა დოზით და როგორ ვართ ჩვენ მისი მონაწილენი? რა სარგებელი მოაქვს მას ჩემთვის და რა წვლილი შემაქვს მე ამ პროცესების მიმდინარეობა-განვითარებაში?

სადისკუსია საკითხები

გლობალიზაცია მრავალმხრივ შეიძლება იქნეს დეფინირებული იმისდა მიხედვით, თუ რა კონტექსტშია ის განხილული - ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, სოცოალურ თუ სხვაში. მისი განსაზღვრის განსხვავებულობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი გარემოებით: გლობალიზაციის კვლევისას ცალკეული მეცნიერების წარმომადგენლები (ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციოლოგია) ყურადღებას ამახვილებენ მის სხვასასხვა ასპექტზე. მისი ეს ასპექტები სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენენ სამყაროზე. ესენია:

Ø **<u>ინდუსტრიული</u>** - მსოფლიო მასშტაბებით საწარმოო ბაზრების ზრდა და უცხოური პროდუქციისადმი მომხმარებელთა და კომპანიათა უკეთესი ხელმისაწვდომობა. საქონლისა და მომსახურების მოძრაობის ზრდა საზღვრებს შიგნით და მათ მიღმა. ბოლო 50 წლის განმავლობაში საწარმოო პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა 100-ჯერ გაიზარდა (1955 წლიდან).

Ø **<u>ფინანსური</u>** - ფინანსური ბაზრის ზრდა მსოფლიოში და მსესხებელთათვის ფინანსებისადმი უკეთესი ხელმისაწვდომობა. XXI საუკუნის დასაწყისისათვის ყოველდღიურად 1,5 ტრილიონი იყო მიმოქცევაში, ეროვნულ ვალუტაში, რათა მხარი აება ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდილი დონისათვის.

Ø **<u>ეკონომიკური</u>** - გლობალური საერთო ბაზრის რეალიზება,რომელიც დაფუძნებულია საქონლისა და კაპიტალის გასვლის თავისუფლებაზე. ამ ბაზრების ურთიერთდაკავშირებულობა, როგორც ასეთი, ნიშნავს იმას, რომ ერთი გეოგრაფიული არეალის კრახმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვებზე. გლობალიზაციის მეშვეობით კომპანიებს შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი პროდუქცია, ანუ გადაიტანონ საწარმოო პროცესი, ადგილებში, სადაც დანახარჯები წარმოების ფაქტორებზე და ნაკლები იქნება.

Ø **<u>შრომის ბაზარი</u>** - კონკურენცია გლობალურ შრომის ბაზარზე. წარსულში მუშახელის ბედი გადაჯაჭვული იყო ეროვნული ეკონომიკის ბედ-იღბალთან. ინფორმაციულობის ზრდასთან ერთად და კომუნიკაციური და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე დღეს ეს საკითხი უკვე აღარ დგას დღის წესრიგში. მიგრაციის მაღალი დონის არსებობის პირობებში ადამიანებს შეუძლიათ იპოვონ სამუშაო ადგილი როგორც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, ასევე მთელს მსოფლიოში საკუთარი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციიდან გამომდინარე.

Ø **<u>ჯანდაცვის პოლიტიკა</u>** - გლობალურ პინაზე ჯანმრთელობა საერთო ხდება. განვითარებულ სახელმწიფოებში ჯანდაცვის სისტემები ფრაგმენტირებული და კერძოა. ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელებმა გაეროს მოთამაშეებიდან ფინანსურ ინსტიტუტებში გადაინაცვლეს. ამ გადასვლის შედეგი კი არის პრივატიზაციის ზრდა ჯანდაცვის სექტორში.

Ø **<u>პოლიტიკური</u>** - ზოგი მეცნიერი თუ მკვლევარი იყენებს ”გლობალიზაციას”, რათა აღნიშნოს მსოფლიო მთავრობის შექმნა, რომელიც არეგულირებს ურთიერთკავშირებს მთავრობებს შორის და გარანტიას იძლევა იმ უფლებებზე, რომლებიც მოდიან სოციალური და ეკონომიკური გლობალიზაციიდან. პოლიტიკურ ეფექტებს შორის ზოგი ასევე მოიხსენიებს ქვეყნების სუვერენულობის ტრანსფორმირებას. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქვეყნების სუვერენიტეტი ხაზგასმული და გამყარებულია გლობალიზაციის პირობებში, ზოგიც თვლის, რომ ის შეზღუდულია და კარგავს თავის ძალას.

Ø **<u>ინფორმაციული</u>** - ტექნოლოგიურ და კომუნიკაციურ პროგრესთან ერთად სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ყველანაირი ინფორმაცია დედამიწის სხვადასხვა რეგიონებსა თუ წერტილებში. ეს კი თავის მხრივ ბევრად ზრდის ფირმათა, კომპანიათა, მთავრობათა თუ უბრალოდ რიგითი მოლალაქეების პროდუქტიულობასა და შრომისნაყოფიერებას. ინფორმაცია, დღევანდელ მსოფლიოში, თავისთავად არის ქცეული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაუძვირფასეს პროდუქტად, რომლითაც ვაჭრობა სულ უფრო და უფრო იზრდება და სულ უფრო მომგებიანი ხდება.

Ø **<u>ენობრივი</u>** - გლობალიზაციის განვითარებასა და ყოვლისმომცველობასთან ერათად ვითარდება სხვადასხვა ენის გამოყენების მასშტაბები მთელს მსოფლიოში. საერთაშორისო ურთიერთობები ითხოვს გარკვეულ საერთაშორისო ენებს, რომლებზეც იქნება ნაწარმოები ეს ურთიერთობები. დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ენაა მანდარინი

(ჩინური) – 845 მლნ მოსაუბრე. მეორე ადგილზეა ესპანური - 329 მლნ, ხოლო მესამეზე - ინგლისური - 328 მლნ. ამასთან ყველაზე პოპულარულ "მეორე ენას" წარმოადგენს ინგლისური, და ის გახლავთ გლობალიზაციის ე.წ. "ლინგუა ფრანკა".

აქვე მცირედი სტატისტიკური ინფორმაცია ენებთან დაკავშირებით, უფრო სწორედ ინგლისურ ენასთან დაკავშირებით:

- მსოფლიო მიმოწერის 35% ინგლისურ ენაზეა ნაწარმოები;
- რადიოგადაცემათა 40% ასევე ინგლისურ ენაზეა;
- ინტერნეტის დომინანტი ენა ინგლისურია.

Ø **<u>კონკურენტული</u>** - გადარჩენისათვის ბრძოლა ახალ ბიზნეს-ბაზრებზე ითხოვს პროდუქციის წარმოების ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. გეოგრაფიულად სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარე კომპანიებმა და საწარმოებმა უნდა გაზარდონ საკუთარი პროდუქციის დონე და ტექნოლოგიური შესაძლებლობები მსოფლიო გლობალური სიტუაციისა და მოთხოვნების შესაბამისად. საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი უბრალოდ ვერ გაუწევენ კონკურენციას ძალზედ სწრაფად მზარდი მსოფლიო ეკონომიკის სუბიექტებს და განწირულნი იქნებიან ბანკროტობისთვის.

Ø **<u>ეკოლოგიური</u>** - მსოფლიოს წინაშე იჭრება არაერთი გამოწვევა, ისეთები როგორებიცაა: კლიმატური ცვლილებები, გლობალური დათბობა, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანება საზღვრებს გაღმა, ზედმეტი თევზჭერა ოკეანეში და სხვა, რაც მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობით და საერთო ძალისხმევით შეიძლება იქნეს გადაჭრილი. გამომდინარე იქიდან, რომ გლობალურ მსოფლიოში კომპანიები ქმნიან თავიანთ საწარმოებს იქ, სადაც დანახარჯები წარმოების ფაქტორებსა, მუშახელსა და გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო დანახარჯები ნაკლებია, ამ ქვეყნებში ეს პროცესები იწვევს ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას, მდინარეების დაბინძურებას შხამქიმიკატებით და ჰაერის გაჭუჭყიანებას.

ამ მხრივ გლობალიზაცია გვევლინება უარყოფით ფაქტორად ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში, და საჭირო ხდება მეტი ძალისხმევა და ურთიერთთანამშრომლობა არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

Ø **<u>კულტურული</u>** - საზღვრებსმიღმა კულტურული კავშირების ზრდა. გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესის, ინფორმაციულობის ხელმისაწვდომობის და კომუნიკაციების სიტემების განვითარების მეშვეობით, შესაძლებლობებს უქმნის ქვეყნებს წარმოაჩინონ ტავიანთი კულტურა და გააცნონ იგი მსოფლიოს. ხდება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება-გაცვლა, სიახლეების მიღება და სხვა ქვეყნის სიმდიდრეების გამოყენება და მათით ტკბობა. ასე მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ რიგით მოქალაქეს შეუძლია უყუროს ჰოლივუდის ფილმებს, უსმინოს გერმანულ მუსიკას, მიირთვას იტალიური პიცა, დაესწროს იაპონური თეატრის წარმოდგენებს, გაეცნოს ლონდონში მიმდინარე კულტურული მოვლენების ბოლო სიახლეებს და ა.შ.თუმცა, მკვლევარ-მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრის მიხედვით, გლობალიზაციას შეუძლია ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებზე მათი შეცვლის, უცხოურით "გადაფარვის" ან სიახლეების მოზღვავების ფონზე ძველის მივიწყების მეშვეობით. ამ მოსაზრებაშიც არის სიმართლის

მარცვალი,ჩემის აზრით. თუმც ეს დამოკიდებულია თვით ქვეყანაზე, მის მოსახლეობასა და საზოგადოების განწყობაზე.

ჩემი,როგორც ეკონომისტის და რიგითი მოქალაქის პოზიცია:

”რას წარმოადგენს გლობალიზაცია?” სრულყოფილი, ამომწურავი პასუხის გაცემა დღეს-დღეობით შეუძლებელია. ან შესაძლებელია, მაგრამ ეგ პასუხი იქნება უფრო სუბიექტური, ვიდრე ობიექტური და არაერთ კრიტიკას თუ წინააღმდეგობას შეიძლება წააწყდეს.

ჩვენ კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ მივიღოთ პასუხი კითხვაზე თუ რა სარგებლობა მოაქვს გლობალიზაციას ჩვენთვის, და რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოგვიტანოს.

გლობალიზაცია მნიშვნელოვანწილად ანვითარებს ქვეყანას, მის ეკონომიკას, მასში არსებულ სოციალურ ფონს და ა.შ. ეს ყველაფერი კი ხდება გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ინტეგრირების პროცესში მონაწილე ქვეყანა მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო თუ სხვა სახის ურთიერთობებისას უამრავ სარგებელს ღებულობს, ან შეიძლება მიიღოს. ეს არის: სხვადასხვა სახის საქონელი და მომსახურეობა, წარმოების ფაქტორები, ინვესტიციები, უახლესი ტექნოლოგიები, ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება და ა.შ. ეს ყოველივე კი თავის მხრივ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ანვითარებს ბაზრებს და მათში მონაწილეთა კონკურენტუნარიანობასა და საქმიანობის ხარისხს, და ზოგადად ზრდის ქვეყნის სოციალურ ფონის დონეს.

ამასთანავე გლობალიზაცია შეიძლება იქნეს არაერთი უარყოფითი შედეგის მომტანი. როდესაც უცხო ფირმები და ინვესტორები შემოდიან ქვეყნის ბაზარზე, ამან შეიძლება მიგვიყვანოს ბაზრის ადგილობრივი მონაწილეების ”თამაშიდან გავარდნისაკენ”, თუ კი ისინი ვერ უძლებენ კონკურენციას, ან სახელმწიფო ვერ იცავს მათ სათანადოდ უცხოელი კონკურენტებისაგან. ასევე შეიძლება ამან მიგვიყვანოს ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებამდე, თუ კი ქვეყანაში არსებული მოთხოვნები გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემებისა არ არის მაღალ დონეზე.

ამ შემთხვევაში ინვესტორები და უცხო კომპანიები არ დაიცავენ არსებულ დონეზე უფრო მაღალ დონეზე გარემოს დაბინძურებისაგან ხარჯების შემცირების და მეტი მოგების მიღების მიზნით, რასაც თანდათანობით მივყავართ ეკოლოგიურ დეგრადაციამდე. გარდა ამისა მნიშვნელოვანია გლობალიზაციის განხილვა კულტურული ასპექტის თვალსაზრისით. ინტეგრაციის დონის ზრდის შედეგად იზრდება ინფორმაციით და ტექნოლოგიებით გაცვლა,

მიგრაცია, რაც შესაძლებელს ხდის იმას, რომ ერთ რომელიმე ქვეყანაში, ვთქვათ საქართველოში, შესაძლებელი ხდება სხვადასხვა კულტურის ნახვა. შემოდის უამრავი სიახლე, ხდება უამრავი რამის გადატანა მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითიდან. ხშირ შემთხვევაში ეს ყოველივე უარყოფითი არის, ფეხს იკიდებს ადგილობრივ მოსახლეობაში და იწვევს, თანდათანობით, არაერთი ტრადიციის, კულტურული მახასიათებლისა თუ მენტალიტეტისშემადგენელი ელემენტის გაქრობას ან შეცვლას, რამაც საბოლოო ჯამში შეიძლება მიოყვანოს ქვეყანა საკუთარი თვითმყოფადობის, "მე"-ს დაკარგვამდე ან დაკნინებამდე, რაც ამცირებს განსხვავებულობას სხვა ქვეყნებისაგან და იმ "პეწს", რაც ჩვენ გაგვაჩნია.

ამიტომ, ჩვენი, როგორც ეკონომისტების, პოლიტიკოსების, სოციოლოგების, და უბრალოდ რიგითი მოქალაქეების მთავარი ამოცანა და მოვალეობაა, რომ ამ პროცესებში აღმოვაჩინოთ ის პლიუსები და დადებითი მხარეები, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი ეკონომიკის, პოლიტიკის, და ზოგადად, კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო ყოველივე უარყოფითსა და ცუდს მოვერიდოთ და ვეცადოთ არ დავუშვათ მათი დანერგვა. მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ წინ წავიწიოთ ასპარეზზე და მსოფლიოს დავანახოთ საკუთარი თავი საუკეთესო კუთხით, მთელი ჩვენი ბრწყინვალებითა და გამორჩეულეობით.

ამ ყოველივეს შედეგად კი შევძლებთ უკეთესად გამოვიყენოთ ეს პროცესები ჩვენს სასარგებლოდ, რადგანაც, როგორც მასალებიდან ჩანს, უამრავი ნიუანსი არსებობს გამოწვეული ამ პროცესებით და ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარებაზე. დღევანდელ მსოფლიოში გლობალური პროცესები ქმნიან უამრავ შესაძლებლობებს, მაგრამ ამავდროულად მაღლდება მოთხოვნები სახელმწიფოთა, თუ კერძო ფირმათა დონეზე. მეტია მოთხოვნები სხვადასხვა ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მოხვედრის მსურველთათვის, მაგალითად ევროკავშირში. ამ მხრივ კი ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს ჯერ კიდევ გადასაჭრელი და საკმაოდ შორსაა ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებისაგან, რომელსაც ითხოვს ეს ბლოკი თავისი წევრი ქვეყნებისაგან. ამიტომაც დიდი სამუშაოა განსახორციელებელი და ამისათვის გასათვალისწინებელია სხვა ქვეყნების გამოცდილება. იმ ქვეყნებისა, რომლებმაც უკვე გაიარეს ეს გზა და მიიღეს უამრავი სარგებელი გლობალურ პროცესებში ფართო მასშტაბით მონაწილეობისგან და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციით.

უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში, რაც, რა თქმა უნდა,უამრავი სხვადასხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული - ომის გამანადგურებელი შედეგები, მძიმე სოციალური ფონი და სხვა, მაგრამ აგრეთვე მთავრობის მხრიდანაც არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული. ამიტომაც ყოველი დეტალი კარგად გასაანალიზებელი და შესასწავლი არის, რათა არ გავიმეოროთ უწინ დაშვებული შეცდომები (რადგანაც, როგორც ბრძანა ვილჰელმ გოტფრიდ ლეიბნიცმა - "აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"), ამიტომაც აუცილებელია წარსულის გამოცდილების გათვალისწინება და არ შეიძლება მისი უგულეველყოფადა განვახორციელოთ სწორი,

თანმიმდევრული ეკონომომიკური პოლიტიკა. ამას კი სხვათა (ქვეყნების რომლებმაც უკვე გაიარეს ეს გზა წარმატებით წლების წინ) გამოცდილებას თუ დავუმატებთ, ყველანაირი შანსი გვექნება წინ სვლისა და მაღალი მიზნების მიღწევისა მსოფლიო ასპარეზზე და ჩვენი კუთვნილი ადგილის დაკავებისა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი - **ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები;** თბილისი, 2009
2. ზურაბ დავითაშვილი - **ნაციონალიზმი და გლობალიზაცია;** ”მეცნიერება”, თბილისი, 2003
3. ემირ ეთერია - გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა; გამომცემლობა ”უნივერსალი”, თბილისი, 2009 წელი;
4. http://en.wikipedia.org/wiki/Globalization
5. http://business.mapsofindia.com/globalization/financial.html
6. http://en.wikipedia.org/wiki/Economic_policy